

ბენდერული თანასწორობის
კონსტიტუციურ-სამართლებრივი
ასპექტები

Constitutional Aspects
of Gender Equality

2008

ბენდერული თანასწორობის
ჟონსტიტუციურ - სამართლებრივი
ასპექტები

Constitutional Aspects
of Gender Equality

ს რ მ ნ უ ვ ი

თავი 1. ქალთა საარჩევნო უფლებების მოპოვების ისტორიული ექსკურსი	----- 4
თავი 2. გენდერული თანასწორობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში	----- 6
§1. სქესობრივი თანასწორობა	----- 6
§2. ქალის შრომის უფლებები	----- 9
§3. დედების უფლებები	----- 9
§4. ორსული ქალების უფლებები	----- 10
§5. ქალთა საარჩევნო უფლებები	----- 11
თავი 3. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი ქალთა უფლებების შესახებ	----- 15
თავი 4. ქალთა პროცენტულობის შესახებ მსოფლიოს სტატისტიკური ანალიზი	----- 16
თავი 5. გენდერული საკითხების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა	----- 17
ცხრილი - ქალთა მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვების შესახებ	----- 19
გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის ქვეყნების კონსტიტუციების ნორმები	----- 21

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის პოექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" - ფარგლებში

ავტორი: ვასილ გონაშვილი

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ოფისს შემდეგ მისამართზე: საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობა, რუსთაველის გამზირი 8, ოთახი 034, თბილისი 0118; ტელ/ფაქსი: (99532) 923662; www.genderandpolitics.ge და გაეროს განვითარების პროგრამის ოფისს საქართველოში მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: (99532) 998558; 251126/28/29/31, ფაქსი: (99532) 250271/72.

The present publication is prepared within the framework of the UNDP project "Gender and Politics in the South Caucasus"

Author: Vasil Gonashvili

For additional information refer to the office of the UNDP project "Gender and politics in the South Caucasus" at the following address: Administrative building of the Parliament of Georgia, 8 Rustaveli ave., room 034, Tbilisi 0118; tel./fax (99532) 923662; www.genderandpolitics.ge and the office of INDP in Georgia at the following address: UN House, 9 Eristavi St., Tbilisi, 0179, Georgia
Tel.: (99532) 998558; 251126/28/29/31, Fax: (99532) 250271/72.

გენდერული თანასწორობის კონსტიტუციურ - სამართლებრივი ასპექტები

ავტორისაგან

გენდერული, ანუ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, დიდ ყურადღებას იქცევს მსოფლიოს თანამედროვე სამართლებრივი განვითარების პროცესში. იგი პრობლემატურია სამართლის სხვადასხვა დარგისათვის მათი სარეგულაციო სფეროების მიხედვით, მათ შორის კონსტიტუციური სამართლისათვის, ვინაიდან გენდერული თანასწორობის ის ძირითადი პრინციპები, რომელიც სხვადასხვა დარგს უდევს საფუძვლად, პირველ რიგში, სწორედ კონსტიტუციურ ნორმებში ჰპოვებს გამოხატულებას. გენდერული თანასწორობის დიდი მნიშვნელობის ნათელი მაგალითია ისიც, რომ თანამედროვე კონსტიტუციურ სამართალში მის რეგლამენტაციას ახორციელებენ არა მხოლოდ ის ქვეყნები, სადაც ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში პრაქტიკულად უმნიშვნელოა, არამედ ის ქვეყნებიც, სადაც რაიმე დამატებითი დათქმებისა და იმპერატიული ნორმების შემოღების გარეშე ქალები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში.

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის მიგვეჩვენებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა გენდერული თანასწორობის დაცვის მხრივ სხვა ქვეყნებში, თუ როგორია პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალთა მონაწილეობის აქტივობა და როგორ უწყობენ ხელს საკანონმდებლო დონეზე საზღვარგარეთის ქვეყნები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის რეალურ დაცვას, ასევე, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში.

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ გენდერული თანასწორობის დაცვის თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილება, რათა მისი ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შემუშავებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები.

ვასილ გონაშვილი
სამართლის დოქტორი

თავი 1.

ქალთა საარჩევნო უფლებების მოპოვების ისტორიული ექსკურსი

ქალთა მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვებისთვის ბრძოლა საუკუნეებს ითვლის. ინდივიდუალურად ქალების მიერ მისი აღიარების მოთხოვნა ჯერ კიდევ 1600 წლიდან დაიწყო, რაც შემდგომ ქალთა საარჩევნო უფლებებისთვის მებრძოლი ორგანიზაციების შექმნით განვითარდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ქვეყნების 95% უკვე აღიარებდა ქალთა აღნიშნულ უფლებებს.

საარჩევნო უფლება ორი სახისაა: აქტიური საარჩევნო უფლება, ანუ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და პასიური საარჩევნო უფლება, ანუ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება.

ქალებისათვის საარჩევნო უფლების მოპოვება რთული პროცესი იყო თითოეულ ქვეყანაში. სახელმწიფოებრივ დონეზე მისი აღიარება სათავეს იღებს ავსტრალიის კონტინენტიდან. პირველი ქვეყანა, რომელმაც სახელმწიფოებრივ დონეზე ცნო ქალთა აქტიური საარჩევნო უფლება (1893 წელს), იყო ახალი ზელანდია, ხოლო შემდგომ - ავსტრალია (1902 წელს), თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მას მრავალი შეზღუდვა ახლდა. პირველი ქვეყანა, რომელმაც სრულად ცნო ქალთა როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება, იყო ფინეთი (1906 წელს). ამის შემდეგ მას მიბაძეს მეზობელმა ქვეყნებმაც (ნორვეგიამ, დანიამ, ისლანდიამ, ნიდერლანდმა), ხოლო 1918 წლიდან ქალთა საარჩევნო უფლება აღიარა ცენტრალური ევროპის, ბალტიისპირეთისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ნაწილმა. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიო ქალთა უმეტესობამ საარჩევნო უფლებები მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე ბოლოს ქალთა ეს უფლება აღიარებულ იქნა ქუვეითში - 2005 წელს.

მსოფლიოში ამ დროისთვის სულ რამდენიმე ქვეყანა შემორჩა, სადაც ქალები საარჩევნო უფლებებით არ არიან გათანაბრებული მამაკაცებთან და მათ საერთოდ არ გააჩნიათ აღნიშნული გარანტიები. ეს ძირითადად ის ქვეყნებია, სადაც პარლამენტები სრულად დანიშნულია. მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში პარლამენტის - ფედერალური ეროვნული საბჭოს სრული შემადგენლობა 40 წევრი ინიშნება მეფის მიერ. ასეთივე ქვეყნებია: საუდის არაბეთი, კატარი, ომანი, ვატიკანი, ბრუნეი, ტაივანი.

საარჩევნო უფლების მოპოვება თითოეულ ქვეყანაში ეტაპობრივ პროცესს წარმოადგენდა, რომლის მიხედვით აღნიშნული უფლებები სხვადასხვა მხრივ იზღუდებოდა. ეს შეიძლება ყოფილიყო მათი შეზღუდვა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, როდესაც ქვეყნის ერთ ნაწილში აღიარებული იყო ქალთა საარჩევნო უფლება, ხოლო მეორე ნაწილში იგი იკრძალებოდა. ისევე როგორც საარჩევნო უფლება შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ქალებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ დადგენილ ცენზებს, როგორც იყო მაგალითად, ბინადრობის, ქონებრივი,

ასაკობრივი ცენზები და სხვა. კერძოდ, მართალია აშშ-ის კონსტიტუციით ქალებს მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უფლებები 1920 წელს მიენიჭათ, მაგრამ 1910 წლისათვის აშშ-ის ზოგიერ შტატში - ვაიომინგში, იუტაში, აიდაჰოში, კოლორადოში, ვაშინგტონში მათ უკვე ჰქონდათ აქტიური საარჩევნო უფლება. იგივე შეიძლება ითქვას ნიუ-ჯერსის შტატზე, სადაც არსებობდა ქონებრივი ცენზი და რომლის 1790 წლის კონსტიტუციის მიხედვით საარჩევნო უფლება ჰქონდა "ყველა მაცხოვრებელს"; რომელსაც გააჩნდა სათანადო ოდენობის ქონება და აკმაყოფილებდა ბინადრობის მოთხოვნებს.

კანადაში ამ პროცესს თან ახლდა როგორც ტერიტორიული, ისე სხვა შეზღუდვები ცენზების მიხედვით. აქ თითქმის ყველა პროვინციაში, გარდა კვებეკისა, ქალებმა საარჩევნო უფლებები გარკვეული შეზღუდვებით მოიპოვეს 1918 წელს, ხოლო კვებეკში - 1940 წელს, 1950 წლიდან კი მათ უკვე მამაკაცების თანაბარი საარჩევნო უფლებები მიენიჭათ; დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ქალთა საარჩევნო უფლება აღიარებული იყო 1869 წლიდან. 1918 წელს ეს უფლება მიენიჭა 30 წლის ასაკს მიღწეულ დაუქმონებელ ქალებს, რომელთაც გააჩნდათ საცხოვრებელი სახლი, ხოლო 1928 წლიდან ქალები უკვე ფლობდნენ მამამამაკაცის მსგავს საარჩევნო უფლებებს; შვედეთში 1862 წლიდან საარჩევნო უფლება ქალთა გარკვეულ კატეგორიას გააჩნდა მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებში, ხოლო 1921 წლიდან - ყველა სახის არჩევნებში.

რაც შეეხება საქართველოს, ქალთა საარჩევნო უფლებები აღიარებულია 1918 წლიდან. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა." ეს პრინციპი პირდაპირ იქნა განმტკიცებული და გარანტირებული საქართველოს პირველ კონსტიტუციაში 1921 წელს. მის 89-ე მუხლში აღნიშნულია, რომ "ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით." მას შემდეგ, მათ შორის საბჭოური კონსტიტუციებით (1924, 1927, 1937 და 1978 წ.წ.), ქალთა პოლიტიკური უფლებები საკანონმდებლო დონეზე არის გათანაბრებული მამაკაცის უფლებებთან.

საარჩევნო უფლების მოპოვების პროცესის მიმდინარეობის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ნაშრომს თან ერთვის ცხრილი, სადაც წარმოდგენილია, თუ როდის მოიპოვეს თითოეულ ქვეყანაში ქალებმა აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებები.

თავი 2.

გენდერული თანასწორობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში

ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპები საზღვარგარეთის ქვეყნებში კონსტიტუციების რეგულირების სფეროს განეკუთვნება. ქალთა შესახებ კონსტიტუციური ნორმები რამდენიმე მიმართულებად შეიძლება დავყოთ:

- 1) გენდერული თანასწორობა;
- 2) საარჩევნო უფლებებში თანასწორობის თავისებურებები;
- 3) ქალის შრომა;
- 4) დედის უფლებები;
- 5) ორსული ქალის უფლებები.

თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია ქალთა გარკვეული კატეგორიებისთვის ადგენს დამატებით გარანტიებს. მაგალითად, ალბანეთის კონსტიტუციით სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ არა მხოლოდ ორსული ქალები, არამედ ახალგაზრდა დედები (და არა ყველა დედა) (მუხლი 54);¹ სერბეთის კონსტიტუცია კი დედის დაცვასთან ერთად ცალკე გამოყოფს მარტოხელა მშობლის დაცვის საკითხს და ადგენს, რომ მარტოხელა მშობლები რესპუბლიკაში სარგებლობენ სპეციალური დაცვით. მარტოხელა მშობლების და ხანდაზმული ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფო სახსრებით, თუ იგი სხვაგვარად არ იქნება უზრუნველყოფილი კანონის შესაბამისად (მუხლები 66, 68).

1. გენდერული თანასწორობა

რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, იგი საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს და თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში არის ფორმულირებული, იმ განსხვავებით, რომ ზოგან ამ პრინციპს თან ახლავს უზრუნველყოფისა და ცხოვრებაში რეალურად განხორციელების საშუალებები, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში იგი ფორმალურად არის აღიარებული.

გენდერული თანასწორობის პრინციპი გვხვდება როგორც ე.წ. ძველ კონსტიტუციებში, მაგალითად, ავსტრიაში (ფედერაციის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია, მიუხედავად წარმომავლობისა, სქესისა, მდგომარეობისა, კლასობრივი კუთვნილებისა და სარწმუნოებისა, მუხლი 7), ისე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიღებულ კონსტიტუციებში,

მაგალითად, გერმანიაში (მამაკაცები და ქალები თანასწორუფლებიანი არიან. არაფის შეიძლება მიადგეს ზიანი ან მიენიჭოს უპირატესობა მისი სქესის, წარმომავლობის, რასის, ენის, დაბადების ადგილის ან წარმოშობის, რწმენის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების გამო (კონსტიტუციის მე-3 მუხლი) და ე.წ. "ახალი ტალღის" კონსტიტუციებში, მაგალითად ჩეხეთში, სადაც ძირითადი უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია ყველასთვის, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რწმენის და რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობის კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, წარმომავლობის ან სხვა გარემოებებისა (ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია, მუხლი 3.1.). ამასთან, იგი აღიარებულია როგორც რესპუბლიკურ, ასევე კონსტიტუციურ-მონარქიულ ქვეყნებში. გარდა ზემოაღნიშნული ქვეყნებისა, ამგვარი რესპუბლიკებია ასევე: ბოსნია და ჰერცეგოვინა, რომლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა დაცულია ყველა პირისთვის ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა ვალდებულების გამო დისკრიმინაციის გარეშე, ასევე ლიტვა (კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაუშვებელია ადამიანის უფლებების შეზღუდვა ან მისთვის პრივილეგიების მინიჭება, მისი სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმოშობის, აღმსარებლობის, მრწამსის ან შეხედულებების გამო).

კონსტიტუციური მონარქიის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ესპანეთი, სადაც ყველა ესპანელი კანონის წინაშე თანასწორია და არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე დისკრიმინაციას დაბადების, რასის, სქესის, აღმსარებლობის, შეხედულებების ან სხვა რაიმე პირადი თუ სოციალური ხასიათის მოტივებიდან გამომდინარე (კონსტიტუცია, მუხლი 14); ასევე ლიხტენშტეინი, სადაც ორივე სქესისათვის დადგენილია თანაბარი უფლებები (კონსტიტუცია, მუხლი 31.2.) ან ნიდერლანდებში მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს თანაბარ პირობებში თანასწორი მოპყრობის უფლება. დაუშვებელია დისკრიმინაცია რელიგიის, რწმენის, პოლიტიკური შეხედულებების, რასის, სქესის ან სხვა ნებისმიერ საფუძველზე (კონსტიტუცია, მუხლი 1).

გენდერული თანასწორობის პრინციპი ევროპის გარდა აღიარებულია სხვა კონტინენტებზეც, მაგალითად, მექსიკის კონსტიტუციის პირველი მუხლი ადგენს, რომ აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობის, სქესის, ასაკის, შრომისუნარობის, სოციალური პირობების, ჯანმრთელობის, რელიგიის, აზრის, შეხედულების, ოჯახური მდგომარეობის ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რაც მიმართულია ადამიანის ღირსების წინააღმდეგ და იწვევს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების ბათილობას ან შეზღუდვას. აზიის სახელმწიფოებიდან

¹ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციების ნორმები გამოყენებულია 5 ტომიდან - "საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები", პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბილისი, 2004-2007 წ.წ.

მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ ინდოეთი, რომლის კონსტიტუციის მე-15 მუხლი მთლიანად ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას რელიგიის, რასის, კასტისადმი კუთვნილების, სქესის ან დაბადების ადგილის გამო.

გენდერული თანასწორობის პრინციპი აღიარეს ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა: მოლდავეთმა, რუსეთმა, აზერბაიჯანმა, უკრაინამ, ბალტიისპირეთის და სხვა, მათ შორის შუა აზიის ქვეყნებმა. ყირგიზეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლში აღნიშნულია, რომ ყირგიზეთის რესპუბლიკაში ყველა პიროვნება კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორია. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე დისკრიმინაციას და თავისუფლებათა და უფლებათა შეზღუდვას წარმოშობის, სქესის, რასის, ეროვნების, ენის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მოტივით ან პირადი თუ საზოგადოებრივი ხასიათის რაიმე სხვა გარემოებით. ყირგიზეთის რესპუბლიკაში მამაკაცებსა და ქალებს თანასწორი თავისუფლებები და უფლებები, ასევე მათი რეალიზაციის შესაძლებლობები გააჩნიათ. ტაჯიკეთის კონსტიტუცია კი მიუთითებს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, სქესისა, ენისა, აღმსარებლობისა, პოლიტიკური მრწამსისა, განათლებისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა. მამაკაცები და ქალები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. (მუხლი 17).

ისევე როგორც ადამიანის ყველა სხვა უფლება, გენდერული თანასწორობა, ფორმალურად, მაგრამ მაინც იყო აღიარებული და ასეთად რჩება სოციალისტურ ქვეყნებშიც. მაგალითად, კუბის კონსტიტუციის 42-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ეროვნების, რელიგიური რწმენის გამო და ადამიანის ღირსების შემლახველი დისკრიმინაციის ნებისმიერი სხვა ფორმა აკრძალულია და ისჯება კანონით.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ გენდერული თანასწორობის ფორმალურად აღიარება არ იძლევა რეალური უზრუნველყოფის გარანტიას. ამიტომ ზოგიერთმა ქვეყანამ გენდერული თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფის გარკვეული დათქმებიც გაითვალისწინა, რაც კანონმდებელთა აზრით, ხელს შეუწყობს მის უფრო მეტად განხორციელებას. მაგალითად, მვეიცარიის კონსტიტუციის მე-8 მუხლში მითითებულია, რომ კანონი ზრუნავს მამაკაცისა და ქალის სამართლებრივ და ფაქტობრივ თანასწორუფლებიანობაზე, განსაკუთრებით ოჯახში, განათლების მიღებისას, მუშაობის პერიოდში; გერმანიის კონსტიტუციის მე-3 მუხლში თანასწორობის იდეასთან ერთად ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის რეალურ განხორციელებას, იღებს ზომებს არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად; თურქეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და ადმინისტრაციულმა ინსტანციებმა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად უნდა განხორციელონ თავიანთი უფლებამოსილება.

წ2. ქალთა შრომის უფლებები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ქალის უფლებებს ეხება, არის მისი შრომის უფლების განხორციელების დამატებითი გარანტიები. გარდა გენდერული თანასწორობის პრინციპისა, რაც ყველა პერიოდის კონსტიტუციებში შეიძლება შეგვხვდეს, ქალის უფლებების დაცვის სხვა ფორმები ძირითადად გათვალისწინებულია ე.წ. "ახალი ტალღის" ანუ 1990-იანი წლების შემდგომ მიღებულ კონსტიტუციებში, ვინაიდან ამ პერიოდში დღის წესრიგში სერიოზულად დადგა ქალის უფლებების დაცვის საკითხი და კონსტიტუციის სტრუქტურამ, სარეგულაციო არეალმა თანამედროვე სახე მიიღო. ამიტომ მრავალი კონსტიტუცია, მიუხედავად იმისა, იგი მოცულობითაა, თუ შედარებით ლაკონური, ითვალისწინებს ქალთა შრომის, დედების, ორსული ქალებისა და სხვა უფლებების ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

ქალთა შრომის დამატებითი გარანტიები გათვალისწინებულია მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში: ქალებს, ახალგაზრდებსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირებს შრომის პროცესში აქვთ ჯანმრთელობის გაუმჯობესებელი დაცვისა და შრომის განსაკუთრებული პირობების უფლება. მართალია, აქვე მითითებულია, რომ დეტალები დგინდება კანონით, მაგრამ ქალთა შრომის განსაკუთრებული პირობების არსებობა აღიარებულია კონსტიტუციით. (ჩეხეთის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია, მუხლი 29.1); სერბეთში ქალები, არასრულწლოვნები და ინვალიდები კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილნი არიან შრომის სპეციალური პირობებითა და დაცვით (კონსტიტუციის მე-60 მუხლი); ირლანდიის კონსტიტუციით "სახელმწიფო ახორციელებს ყოველგვარ ძალისხმევას, რათა მუშების, ქალისა და მამაკაცის, აგრეთვე არასრულწლოვანთა ჯანმრთელობა და ძალა არ იქნეს ბოროტად გამოყენებული; მოქალაქეებმა ეკონომიკური საჭიროებიდან გამომდინარე არ შეასრულონ ისეთი სამუშაო, რაც შეუფერებელია მათი სქესის, ასაკისა და ძალისათვის (კონსტიტუციის 45.2. მუხლი); სლოვაკეთის კონსტიტუციით ქალები, არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შრომის პროცესში სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის უფლებითა და შრომის განსაკუთრებული პირობებით (მუხლი 38.1.); ტაჯიკეთის კონსტიტუციის მიხედვით კი აკრძალულია ქალებისა და არასრულწლოვანთა შრომის გამოყენება მძიმე და მინისქვეშა, აგრეთვე შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე (მუხლი 35).

წ3. დედების უფლებები

რაც შეეხება დედების უფლებებსა და მათ განსაკუთრებულ დაცვას, კონსტიტუციის დონეზე ისინი გარანტირებულია, და, აქედან გამომდინარე,

დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, ძირითადად ევროპულ რესპუბლიკური მმართველობისა და ახალი კონსტიტუციების მქონე ქვეყნებში. მაგალითად, ბულგარეთში დედები სახელმწიფოსათვის წარმოადგენენ სპეციალური დაცვის საგანს, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის ანაზღაურებად შვებულებას ბავშვის დაბადებამდე და დაბადების შემდეგ, უფასო სამედიცინო დახმარებას, მათი შრომის პირობების შემსუბუქებას და სხვა სახის სოციალურ დახმარებას (კონსტიტუცია, მუხლი 47.2); მაკედონიის კონსტიტუციით რესპუბლიკა განსაკუთრებით იცავს დედობას, შვილებს და არასრულწლოვნებს. არასრულწლოვნები და დედები განსაკუთრებული დაცვის უფლებებით სარგებლობენ (მუხლი 42).

გარდა ევროპული ქვეყნებისა, დედების სამართლებრივი დაცვის შესახებ ნორმებს შეიცავს სხვა კონტინენტების ქვეყნების კონსტიტუციებიც. მაგალითად, ინდოეთის კონსტიტუციით სახელმწიფო იღებს ზომებს მუშაობის სამართლიანი და ჰუმანური პირობებისა და დედების დახმარების უზრუნველსაყოფად (მუხლი 42); ლიტვის კონსტიტუციით მოსამსახურე დედებისათვის კანონით გათვალისწინებულია ანაზღაურებადი, მშობიარობამდელი და მშობიარობის შემდგომი შვებულება, შრომის ხელსაყრელი პირობები და სხვა შეღავათები (მუხლი 39).

6.4. ორსულ ქალთა უფლებები

ორსული ქალების განსაკუთრებული დაცვის შესახებ ნორმები მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში გვხვდება. მაგალითად, ჩეხეთის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის 32.2-ე მუხლით ორსულობის პერიოდში ქალებს გარანტირებული აქვთ განსაკუთრებული ზრუნვა, შრომით ურთიერთობებში დაცვა და შრომის სათანადო პირობები; ალბანეთის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ორსული ქალები სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვით (მუხლი 54); სერბეთის კონსტიტუციის თანახმად, ფეხმძიმე ქალების, ფეხმძიმობის გამო შვებულებაში მყოფი დედების ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფო სახსრებით, თუ იგი სხვაგვარად არ იქნება უზრუნველყოფილი კანონის შესაბამისად (მუხლი 68); პორტუგალიაში კი ქალებს აქვთ სპეციალური დაცვის უფლება ორსულობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, მომუშავე ქალებს აგრეთვე აქვთ სამსახურიდან შესაბამისი პერიოდით გათავისუფლების უფლება ანაზღაურებისა და სხვა პრივილეგიების შენარჩუნებით (კონსტიტუციის 68.3 მუხლი).

გენდერული თანასწორობის დაცვის მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ქალთა საარჩევნო უფლებებია, რაც მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია და საქართველოშიც დიდ ყურადღებას იწვევს. თუ ზოგიერთ, მაგალითად, აფრიკულ ქვეყნებში ქალთა კვოტირებისა და მამაკაცების მსგავსად პოლიტიკაში მონაწილეობის პრობლემა იმიტომ დადგა, რომ შესუსტებულია ქალის როლი და მისი უფლებები მხოლოდ ფორმალურად არის აღიარებული, მრავალი ევროპული ქვეყანა, მიუხედავად ქალთა მაღალი პოლიტიკური აქტივობისა, მაინც დიდ ყურადღებას უთმობს გენდერული კვოტირების სხვადასხვა ფორმას და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ქალთა საარჩევნო თუ სხვა პოლიტიკური უფლებების თანასწორობას, როგორც დემოკრატიის აუცილებელ ელემენტს.

ქალთა პოლიტიკური თანასწორობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია საჭიროდ მიიჩნევს პოლიტიკური უფლებების თანასწორობაზე ხაზგასმას. აშშ-ის კონსტიტუციის XIX შესწორებით შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ არ შეიძლება შეერთებული შტატების მოქალაქეთა ხმის უფლება უარყოფილ იქნეს ან შეიზღუდოს სქესის ნიშნით. ასევე საფრანგეთში: ხმის მიცემის უფლება კანონის შესაბამისად აქვს ყველა სრულწლოვან საფრანგეთის მოქალაქეს, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, მიუხედავად მისი სქესისა (კონსტიტუციის 32-ე მუხლი).

რაც შეეხება გენდერული კვოტის განსაზღვრის საკითხს, განასხვავებენ მის ორი ფორმით კლასიფიკაციას: 1) თუ რომელი აქტით რეგულირდება ეს საკითხი და 2) სახელმწიფო ორგანოთა რომელ დონეზე გამოიყენება.

ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ საჭიროდ მიიჩნია კვოტირების პრინციპის არსებობის კონსტიტუციის დონეზე განსაზღვრა. ეს საკითხი საკმაოდ სრულყოფილად არის მოწესრიგებული ბელგიის კონსტიტუციით. მისი 111 მუხლის თანახმად, კანონი ან კანონქვემდებარე აქტი უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების თანასწორობას, განსაკუთრებით მათ თანასწორ დაშვებას არჩევით და დანიშნვით თანამდებობებზე. ამასთან, კონკრეტული კვოტის გარეშე, მაგრამ პირდაპირ აღინიშნა, რომ მინისტრთა საბჭო, გაერთიანებისა და რეგიონების მთავრობები შედგება სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებისგან, რაც იმის გარანტია, რომ ყველა დონის აღმასრულებელ ორგანოში აუცილებელია ორივე სქესის წარმომადგენელთა არსებობა. იგივე პრინციპი იქნა გათვალისწინებული ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში - პროვინციულ საბჭოებში, აგრეთვე ქალაქის მერის კოლეგიაში, ქალაქის მმართველობაში, სოციალური უზრუნველყოფის კოლეგიაში, სოციალური უზრუნველყოფის საზოგადოებრივი ცენტრების მუდმივ ბიუროებში და ყველა სხვა პროვინციათაშორისი, კომუნათაშორისი ან შიდაკომუნალური

ტერიტორიული ორგანოების აღმასრულებელ ორგანოებში.

გარდა ბელგიისა, ამ მხრივ აღსანიშნავია სერბეთის კონსტიტუცია, რომელიც უახლესი დოკუმენტია (2006 წლის) და ერთ-ერთი სამაგალითო მსოფლიო კონსტიტუციებს შორის დემოკრატიული იდეალების გარანტიების მხრივ. მის მე-100 მუხლში აღნიშნულია, რომ ეროვნულ კრებაში, რომელიც 250 დეპუტატისგან შედგება, კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა სქესის წარმომადგენლობა და თანასწორობა.

ამავე პრინციპს ითვალისწინებს საფრანგეთის კონსტიტუცია, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონი უზრუნველყოფს არჩევით თანამდებობებზე თანასწორ შესაძლებლობას.

იტალიის კონსტიტუცია რეგიონის კანონებს აკისრებს ვალდებულებას გააუქმონ ყველა დაბრკოლება, რაც ხელს უშლის მამაკაცთა და ქალთა თანასწორობას სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში და უზრუნველყონ არჩევით თანამდებობებზე მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა (მუხლი 117). პორტუგალიის კონსტიტუცია ადგენს, რომ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების განხორციელებისას კანონი უზრუნველყოფს თანასწორობას და სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აღმოფხვრას პოლიტიკურ თანამდებობებზე დაშვებისას (მუხლი 109), ანუ თანასწორობის პრინციპი კონსტიტუციით არის გარანტირებული და მისი უზრუნველყოფა კანონს აქვს დაკისრებული. ანალოგიურია არგენტინის გამოცდილება, რომლის კონსტიტუციის 37.2-ე მუხლით მამაკაცებისა და ქალების მიერ არჩევითი და პოლიტიკური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობის ფაქტობრივი თანასწორობა უზრუნველყოფილია პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სისტემის მომწესრიგებელი ნორმებით.

ხშირად გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალთა კვოტირების სისტემა გარკვეულწილად არღვევს სქესთა ბალანსს მამაკაცთა საწინააღმდეგოდ. საბერძნეთის კონსტიტუციამ ეს გამოცდილებაც გაითვალისწინა და დაადგინა, რომ მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით პოზიტიური ზომების მიღება არ წარმოადგენს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უთანასწორობის არსებული, განსაკუთრებით კი ქალებთან დაკავშირებული შემთხვევების აღმოფხვრა (მუხლი 116.2.) ამ მხრივ აღსანიშნავია შვედეთის გამოცდილება. მართალია "მმართველობის ფორმის შესახებ" შვედეთის აქტის მე-2 თავის მე-16 მუხლი ადგენს, რომ კანონი ან სხვა აქტი არ შეიძლება შეიცავდეს მინიშნებას მოქალაქისადმი არასათანადო მოპყრობაზე მისი სქესის გამო, მაგრამ ამავდროულად უშვებს გამონაკლისს, თუ ნორმა "მიზნად ისახავს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევას ან შეეხება სავალდებულო სამხედრო სამსახურს ან სხვა მსგავსი სახის სამსახურებრივ მოვალეობას".

გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის

ზოგადი პრინციპებისა, მრავალ ქვეყანაში საარჩევნო და სხვა კანონები ადგენენ ქალთა კონკრეტულ კვოტას, რაც რამდენიმე სახის არსებობს: 1) როდესაც განსაზღვრულია, რომ ყოველმა პარტიამ არჩევნებში კანდიდატად უნდა წარადგინოს ქალთა გარკვეული პროცენტი ანუ "საკანდიდატო კვოტა" და 2) როდესაც წარმომადგენლობით ორგანოებში ქალებისთვის წინასწარ არის რეზერვირებული ადგილები (მაგალითად, ბანგლადეშში - 60 ადგილი, პაკისტანში - 45, უგანდაში - 56, მაროკოში - 30, კენიასა და იორდანიაში - 6-6). "საკანდიდატო კვოტის" სისტემა შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც პარლამენტში ადგილების განაწილებისას, ასევე პარტიის მიერ კანდიდატების წარდგენისას. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პარტიებისთვის კვოტირების სისტემის შემოღებას კანონმდებლობა არ ავალდებულებს პარტიებს, თუმცა, ზოგიერთი მათგანი საკუთარი წესდების საფუძველზე ადგენს კვოტირების სისტემის გათვალისწინების აუცილებლობას, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში.

ეროვნული პარლამენტების ფორმირებისას კვოტირების სისტემა გამოიყენება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. ამერიკაში იგი 20%-დან 45%-მდე მერყეობს და უმეტესად გვხვდება 30%-იანი კვოტის სახით. ასეთი ქვეყნებია არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა და სხვა. აფრიკის კონტინენტზე ქალთა კვოტა მერყეობს 10-30%-ის ფარგლებში, ხოლო აზიაში 5%-30%-ის ფარგლებში. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, სავალდებულო ქალთა კვოტირების სისტემა შეადგენს 30-50%-ს. სერბეთსა და მაკედონიაში იგი 30%-ია, ბელგიაში და ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში - 33%, ხოლო საფრანგეთში - 50%.

ქალთა კვოტირების სისტემის სავალდებულო წესის დადგენას პრაქტიკული შედეგაც გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ კვოტირების თუნდაც პარტიულ დონეზე შემოღების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში ქალთა პროცენტული რაოდენობა მატულობს. მაგალითად, ამერიკის კონტინენტებზე არგენტინის დეპუტატთა პალატაში ქალთა რაოდენობა 6%-დან გაიზარდა 34%-მდე, ანუ 28%-ით, ხოლო სენატში 3%-დან - 33%-მდე, ანუ 30%-ით. იგივე შედეგია სხვა ქვეყნებშიც - მექსიკაში პროცენტული მატება შეადგენს 6%-ს, ბრაზილიაში - 2%-ს. კვოტირების სისტემის შემოღებით ამერიკის ქვეყნებში ქალთა რაოდენობა საერთო ჯამში 10%-ით გაიზარდა.

სქესობრივი დისკრიმინაციის გარკვეული შემთხვევები გვხვდება ქვეყნის პირველ პირებთან დაკავშირებით. ეს ძირითადად ეხება კონსტიტუციურ მონარქიებს, სადაც აუცილებელია, რომ მონარქი იყოს მამაკაცი. ამ მხრივ სამ ფორმას განასხვავებენ: 1) როდესაც დაუშვებელია ქვეყნის სათავეში ქალის ყოფნა; 2) როდესაც ნებადართულია ორივე სქესის წარმომადგენელთა მეფობა და 3) როდესაც ნებადართულია ორივე სქესის წარმომადგენელთა მეფობა, მაგრამ მამაკაცის არსებობის შემთხვევაში მას ენიჭება უპირატესობა. მაგალითად, დანიაში კონსტიტუციის მე-2 პარაგრაფის მიხედვით სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა სამეფო დინასტიის მამაკაცთა და ქალთა სქესის წარმომადგენლებს. თუმცა, ტახტი გადადის მის ვაჟიშვილზე ან

ქალიშვილზე იმ პირობით, რომ ტახტზე უპირატესი უფლება აქვს ვაჟს ქალიშვილთან შედარებით. (კანონი "ტახტის მემკვიდრეობის შესახებ"); ესპანეთში მემკვიდრეობა ხორციელდება პირველშობილობისა და წარმომადგენლობის წესების შესაბამისად, შორეულთან შედარებით ახლო ნათესაური ხაზისათვის უპირატესობის მინიჭებით; ერთგვაროვანი ხაზის შემთხვევაში – უფრო ახლო ნათესაობისთვის უფრო შორეულთან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნათესაობის ერთნაირი კავშირი, ამ დროს უპირატესობა ენიჭება მამაკაცს (კონსტიტუციის 57.1-ე მუხლი). ასევე მონაკში, რომლის კონსტიტუციის მე-10 მუხლით ტახტის გვირგვინის მემკვიდრეობა ხორციელდება მმართველი მთავრის შთამომავალთა პირდაპირი და კანონიერი დაღმავალი ხაზით, პირველშობილობის წესით, ნათესაობის იმავე დონეზე დაღმავალი შტოს მამრობითი სქესისთვის პრიორიტეტის მინიჭებით.

სქესობრივი პრიორიტეტი არ არსებობს და ორივე სქესის წარმომადგენლები თანასწორნი არიან ტახტის დაკავებისას შევდეთში. "ტახტის მემკვიდრეობის შესახებ" აქტის პირველი მუხლით შევდეთის ტახტის მემკვიდრეობის უფლება გადაეცემათ ქალებსა და კაცებს. აქ პრიორიტეტი ენიჭება მხოლოდ ასაკით უფროსობას – უფროს დას და ძმას და მათ შთამომავლებს აქვთ უპირატესი უფლება უმცროს დას და ძმას და მათ შთამომავლებთან მიმართებით.

გენდერული თანასწორობის მხრივ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ამერიკის ქვეყნები, რომელთა კონსტიტუციების მიხედვით ქვეყნის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მამაკაცი. ამგვარი სისტემა ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა და ახლა შეცვლილია, ხოლო ზოგჯერ ისევ არსებობს. მაგალითად, მექსიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლის მიხედვით პრეზიდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელიც დაბადებით მექსიკელთა ვაჟი და დაბადებით მექსიკის მოქალაქეა.

* * *

ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მსოფლიო ქვეყნებს შორის ქალის შრომის, დედებისა და ორსულთა უფლებების კონსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფის მხრივ ყველაზე სამაგალითოა პორტუგალიის, სერბეთისა და ჩეხეთის კონსტიტუციები, ვინაიდან თუნდაც პრინციპების დონეზე ითვალისწინებენ ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რისი მოწესრიგებაც შესაძლებელია კონსტიტუციის მოცულობიდან გამომდინარე.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის განსაკუთრებულ ყურადღებაზე მეტყველებს ბევრ ქვეყანაში შექმნილი სპეციალურად ამ ფუნქციის მქონე სხვადასხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანო. მაგალითად, დანიაში ფუნქციონირებს სოციალურ საკითხთა და

გენდერული თანასწორობის სამინისტრო, გერმანიაში-ოჯახის, მოხუცებულების, ქალთა და ახალგაზრდობის სამინისტრო; კანადაში-მემკვიდრეობისა და ქალთა საქმეების სამინისტრო; ინდოეთში - ქალებისა და ბავშვთა განვითარების სამინისტრო და სხვ.

თავი 3.

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი ქალთა უფლებების შესახებ

გენდერულ თანასწორობაზე ყურადღებას ამახვილებს ევროპის კონსტიტუციის პროექტიც. მისი 1-2 მუხლი, რომელიც ევროკავშირის ფასეულობებს ეხება, ადგენს, რომ კავშირი დაფუძნებულია ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემის ფასეულობებზე. ეს ფასეულობები საყოველთაოა წევრი სახელმწიფოებისთვის საზოგადოებაში, სადაც არსებითია პლურალიზმი, არადისკრიმინაციულობა, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა. ამავე პროექტის 1-3 მუხლის თანახმად კი კავშირი უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობასა და დაცვას, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, თაობათა შორის სოლიდარობას და ბავშვთა უფლებების დაცვას.

კონსტიტუციის პროექტის შემდგომი მუხლები უფრო აკონკრეტებენ, თუ რა იგულისხმება გენდერული თანასწორობის დაცვაში. 1-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ევროპული კანონები და ჩარჩო კანონები ადგენენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის გამოყენება დასაქმებისა და თანამდებობის დაკავების საკითხებში, მათ შორის თანაბარი შრომისთვის თანასწორი ანაზღაურებისა და თანასწორი ფასეულობის შრომის პრინციპები. ეს ყოველივე დამტკიცდება ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტის კონსულტაციის მიღების შემდეგ.

ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ მუშაობის სფეროში ქალებსა და მამაკაცებს შორის პრაქტიკულად სრული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, თანასწორი მოპყრობის პრინციპი არ უკრძალავს ნებისმიერ წევრ-სახელმწიფოს, რომ შეინარჩუნოს და მიიღოს სპეციალური უპირატესობების უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომები, რათა უფრო ადვილი გახდეს სქესის მიხედვით პროფესიული საქმიანობის განხორციელება ან არ დაუშვას ან ანაზღაუროს ზარალი პროფესიულ საქმიანობაში.

ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას ადასტურებს ასევე პროექტის 23-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხს ეხება. მასში აღნიშნულია, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა სფეროში, მათ შორის დასაქმებაში, შრომასა და ანაზღაურებაში. თანასწორობის პრინციპი ხელს არ უშლის სქესის სასარგებლოდ

სპეციალური უპირატესობების უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების შენარჩუნებასა და დადგენას.

ამდენად, ევროპული კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს რა გენდერული თანასწორობის დასაცავად დამატებითი საკანონმდებლო მექანიზმების არსებობას ევროპულ ქვეყნებში, არ კრძალავს და პირდაპირ აძლევს თანხმობას ამგვარი ნორმების შემოღებაზე.

თავი 4.

პოლიტიკურ თანამდებობზე ქალთა რაოდენობის სტატისტიკური ანალიზი საზღვარგარეთის ქვეყნებში

ამჟამად მსოფლიოში ქალ დეპუტატთა რიცხვი პარლამენტებში წევრთა საერთო რაოდენობის 17.4% შეადგენს. მათ შორის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა შვედეთი (47.3%-ით), ფინეთი (42.0%-ით), ნორვეგია (37.9%), დანია (35.9%), ნიდერლანდი (35.7%), ბელგია (36.3%). ჯამში, ევროპის ეუთოს წევრ ქვეყნებში ეს პროცენტი შეადგენს 19%-ს, ამერიკის ქვეყნებში - 19.9%-ს, აფრიკის ქვეყნებში - 17.3%-ის, აზიის ქვეყნებში - 16.6%-ის, არაბულ ქვეყნებში - 9.0%-ს. საქართველოში პარლამენტის წევრ ქალთა საერთო რაოდენობა 10%-ს შეადგენს.

ქალთა რაოდენობის პროპორციულობის ანალოგიური სურათი გვხვდება ევროპარლამენტში, სადაც ამჟამად 732 ადგილიდან 222 ანუ 30.3% უკავიათ ქალებს. მათ შორის გამოირჩევა შვედეთი (57.9%), ლუქსემბურგი (50%), ნიდერლანდი (44.4%), სლოვენია (42.9%), საფრანგეთი (42.3%). შედარებისთვის საინტერესოა ასევე ცენტრალური ამერიკის პარლამენტის წევრ ქალთა რაოდენობა, რაც 18.2%-ს შეადგენს.

ქალთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი არა მხოლოდ ეროვნული დონის საკანონმდებლო ორგანოებისთვის არის დამახასიათებელი, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზეც. ამჟამად მსოფლიოში 7 პრეზიდენტი ქალია, ხოლო 4 - პრემიერ-მინისტრი. რაც შეეხება მთავრობის შემადგენლობას, ფინეთში მინისტრთა 60% ქალია, 52.6% - ნორვეგიაში, 47% - ესპანეთში, 46% - სამხრეთ აფრიკაში, 45% - უელსში, 45% - ნიკარაგუასა და შვედეთში, 43.7% - საფრანგეთში, 40% - ავსტრიაში.

მთავრობის წევრად ქალი პირველად დაინიშნა დანიაში 1924 წელს, ხოლო 1960 წელს შრი-ლანკაში პირველად იქნა არჩეული სახელმწიფოს მეთაურად. პირველი ევროპული პრემიერ-მინისტრი 1979 წლიდან იყო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქალთა პროპორციულობა ყოველი შემდგომი არჩევნებისას საერთო ჯამში მატულობს². თუ 1995 წლისათვის პარლამენტის წევრ ქალთა რაოდენობა 11.3%-ს შეადგენდა, 2005

წლისათვის ეს რიცხვი 16%-მდე გაიზარდა.

1945-1997 წლებში 186 ქვეყნიდან მხოლოდ 42-ში იყო ერთხელ მაინც ქალი პარლამენტის ან მისი პალატის თავმჯდომარე, და ეს სულ განხორციელდა 78-ჯერ. 2005 წლის მდგომარეობით 22 ქალი ხელმძღვანელობდა პარლამენტს ან მის პალატას, რაც იმას ნიშნავს, რომ 2005 წლისათვის პალატებისა და პარლამენტების თავმჯდომარეთა 255 თანამდებობიდან 8.6% ეკავა ქალს.

ქალთა აქტიურობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის დამკვიდრებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად მსოფლიოში პოლიტიკური პარტიების ლიდერთა 11% ქალია.

თავი 5.

საქართველოს კანონმდებლობა გენდერული საკითხების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, თანასწორობას სქესის მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად,

"ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა."

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს რაიმე თანამდებობრივი შეზღუდვა, რაც ქალებს მამაკაცებთან შედარებით არათანაბარ პირობებს შეუქმნის, რათა არჩეულ იქნენ ან დაინიშნონ გარკვეულ თანამდებობებზე.

მაგრამ ერთია შეზღუდვის არ არსებობა, ხოლო მეორე - იმ გარანტიების არსებობა, რაც ქალებს საშუალებას მისცემს მამაკაცების თანაბრად ჩაერთონ პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც ჩვენს მიერ განხორციელებული წინამდებარე კვლევა გვიჩვენებს, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს სქესთა შორის თანასწორობას, მაგრამ ამ პრინციპის სრულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს ქალთა თანასწორობის გარკვეულ გარანტიებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკმაოდ ზოგადად მიუთითებს ქალთა სხვა უფლებებზე, არ ადგენს მათი დაცვის რაიმე გარანტიებს და მათ მონესრიგებას კანონებს ანდობს. მაგალითად, კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღნიშნულია, რომ

"შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით."

ასევე კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ

"დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით."

როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციების ანალიზი ცხადყოფს, ქალის უფლებების დაცვის გარკვეული გარანტიები თვით

2* ამ თავის მომზადებისას გამოყენებულია www.ipu.org/iss-e/women.htm და www.guide2womenleaders.com/index.html ინტერნეტის ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაცია

კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რომელთა საფუძველზე მიიღება შესაბამისი კანონმდებლობა. ვფიქრობთ, ამ მხრივ გამოწვევის არც საქართველოს კონსტიტუცია უნდა იყოს და სწორედ მასში უნდა გაიწეროს დედებისა და ორსული ქალების შრომის უფლებების ძირითადი გარანტიები.

გენდერული პრობლემატიკის კონკრეტულ საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობა არ ამახვილებს ყურადღებას. არც საქართველოს დამოუკიდებელი განვითარების წინა ეტაპებზე ყოფილა კანონმდებლობაში ნორმები გენდერული თანასწორობის დაცვის გარანტიების შესახებ. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 24 ივლისს მიიღო "საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია", რომელიც მხოლოდ პრონციპების დონეზე შეიცავს ნორმებს გენდერულ საკითხთა დაცვის ძირითადი მიმართულებების შესახებ. თუმცა, პრაქტიკაში არსებობს გენდერული ბალანსის თუნდაც გარკვეული ფორმით განსაზღვრის საჭიროება, ვინაიდან მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალთა დანიშვნისა და არჩევის სტატისტიკა საკმაოდ დაბალია. მაგალითად, საქართველოს პარლამენტში დეპუტატ ქალთა რაოდენობა შეადგენს 10%-ს, რაც ძალზედ დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში არსებულ საერთო მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს წინა მონვევის პარლამენტებში ქალთა პროცენტული რაოდენობა უფრო დაბალი იყო. მაგალითად, 1919 წლის დამფუძნებელ კრებაში ქალთა რაოდენობა პროცენტულად შეადგენდა 3.07%-ს, 1990-92 წლების უზენაეს საბჭოში - 6.85%-ს, 1992-95 წლების პარლამენტში - 4.96%-ს, 1995-99 წლების პარლამენტში - 5.78%-ს, ხოლო 1999-2004 წლების პარლამენტში - 6.71%-ს.

ამჟამად, 2008 წლის 31 იანვარს დამტკიცებულ საქართველოს მთავრობაში მისი 17 წევრიდან 1 ქალია, რაც მთავრობის წევრთა 5.88%-ს შეადგენს. ეს პროცენტულობა სხვადასხვა მთავრობის შემადგენლობაში მერყეობდა 23.8%-დან 5.5%-მდე. საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში, რომელსაც პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა 2004 წლის 17 თებერვალს 20 წევრიდან 4 ქალი იყო, ანუ 20%, 2004 წლის 10 ივნისს დამტკიცებულ მთავრობის შემადგენლობაში 21 წევრიდან - 5, ანუ 23.8%, 2004 წლის 27 დეკემბერს დამტკიცებულ მთავრობაში 18 წევრიდან - 4, ანუ 22.2%, 2005 წლის 17 თებერვლის მთავრობის შემადგენლობაში 18 წევრიდან - 3, ანუ 16.6%, 2006 წლის 24 ივლისის მთავრობაში 18 წევრიდან - 1, ანუ 5.5%, 2007 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებულ მთავრობის შემადგენლობაში 18 წევრიდან - 2, ანუ 11.1%, ხოლო 2007 წლის 22 ნოემბრის მთავრობაში - 18 წევრიდან - 3, ანუ 16.6%. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ქალის დანიშვნის ფაქტს, რასაც საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია: 2007 წლის 30 აგვისტოს ქალი დაინიშნა იუსტიციის მინისტრად, ხოლო 2008 წლის 31 იანვარს - გენერალურ პროკურორად.

* * *

ჩვენი მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობისა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განიარებისა და განზოგადების საფუძველზე საქართველოში შევქმნათ კონსტიტუციით აღიარებული სქესთა თანასწორობის რეალურად უზრუნველყოფის გარანტიები, იმგვარად, რომ არც მამაკაცთა უფლებები იქნეს დარღვეული.

ყოველივე ეს ცვლილებების შეტანას საჭიროებს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციაში, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების მომწესრიგებელ სხვა საკანონმდებლო აქტებშიც. ამასთან, თუ თანამედროვე ევროპულ გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ, ურიგო არ იქნებოდა გენდერული თანასწორობის შესახებ ცალკე კანონის მიღებაც.

ქალთა მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვების ცხრილი^{3*}

1893	ახალი ზელანდია (აქტიური საარჩევნო უფლება)
1902	ავსტრალია (შემზღვევით)
1906	ფინეთი
1907	ნორვეგია (პასიური საარჩევნო უფლება)
1913	ნორვეგია (სრულად)
1915	დანია, ისლანდია
1917	ნიდერლანდი (პასიური საარჩევნო უფლება)
1918	ავსტრია, კანადა (აქტიური საარჩევნო უფლება), ესტონეთი, საქართველო, გერმანია, უნგრეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო (შემზღვევით)
1919	ბელარუსი, ბელგია (აქტიური საარჩევნო უფლება), ლუქსემბურგი, ნიდერლანდი (აქტიური საარჩევნო უფლება), ახალი ზელანდია (პასიური საარჩევნო უფლება), უკრაინა
1920	ალბანეთი, კანადა (პასიური საარჩევნო უფლება), ჩეხეთი, სლოვაკეთი, აშშ (აქტიური საარჩევნო უფლება)
1921	სომხეთი, ამერბაიჯანი, ბელგია (პასიური საარჩევნო უფლება), შვედეთი
1924	ყაზახეთი, მონღოლეთი, სანტა ლუსია, ტაჯიკეთი
1925	იტალია (შემზღვევით)
1927	თურქმენეთი
1928	ირლანდია, გაერთიანებული სამეფო (სრულად)
1929	ეკვადორი, რუმინეთი
1930	სამხრეთ აფრიკა (თეთრკანიანები), თურქეთი (აქტიური საარჩევნო უფლება)
1931	ჩილე, პორტუგალია (შემზღვევით), ესპანეთი, შრი-ლანკა
1932	ბრაზილია, მალიდივი, ტაილანდი, ურუგვაი
1934	კუბა, პორტუგალია (შემზღვევით), თურქეთი (პასიური საარჩევნო უფლება)

^{3*} ცხრილის შედგენისას გამოყენებულია ინტერნეტის ვებ-გვერდებზე www.ipu.org/wmn-e/suffrage.htm და http://teacher.scholastic.com/activities/suffrage/europe_when.htm# გამოქვეყნებული ინფორმაცია.

1935 მიანმარი (აქტიური საარჩევნო უფლება)
 1937 ფილიპინები
 1938 ბოლივია (შემლუდვებით), უმბეკეთი
 1939 ელ-სალვადორი (აქტიური საარჩევნო უფლება)
 1941 პანამა (შემლუდვებით)
 1942 დომინიკის რესპუბლიკა
 1944 ბულგარეთი, საფრანგეთი, იამაიკა
 1945 ხორვატია, გვიანა (პასიური საარჩევნო უფლება), ინდონეზია, იტალია, იაპონია, სენეგალი, სლოვენია, ტოგო
 1946 კამერუნი, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჯიბუტი (აქტიური საარჩევნო უფლება), გვატემალა, ლიბერია, მიანმარი (პასიური საარჩევნო უფლება), პანამა (სრულად), მაკედონია, ტრინიდადი და ტობაგო, ვენესუელა, ვიეტნამი
 1947 არგენტინა, მალტა, მექსიკა (აქტიური საარჩევნო უფლება), პაკისტანი, სინგაპური
 1948 ბელგია (სრულად), ისრაელი, ნიგერია, კორეის რესპუბლიკა, სეიშელი, სურინამი
 1949 ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩინეთი, კოსტა-რიკა, სირია (აქტიური საარჩევნო უფლება)
 1950 ბარბადოსი, კანადა (სრულად), ჰაიტი, ინდოეთი
 1951 ანტიგუა და ბარბუდა, დომინიკა, გრენადა, ნეპალი, სენტ კიტსი და ნევისი, სენტ ვინსენტი და გრენადინი
 1952 ბოლივია (სრულად), კოტ-დივუარი, საბერძნეთი, ლიბანი
 1953 ბუტანი, გვიანა (აქტიური საარჩევნო უფლება), მექსიკა (პასიური საარჩევნო უფლება), სირია (სრულად)
 1954 ბელიზი, კოლუმბია, განა
 1955 კამბოჯა, ერთრეა, ეთიოპია, ჰონდურასი, ნიკარაგუა, პერუ
 1956 ბენინი, კომორის კუნძულები, ეგვიპტე, გაბონი, მალი, მავრიტუსი, სომალი
 1957 მალაიზია, მიმბაბვე (აქტიური საარჩევნო უფლება)
 1958 ბურკინა ფასო, ჩადი, გვინეა, ლაოსი, ნიგერია (სამხრეთი)
 1959 მადაგასკარი, სან-მარინო (აქტიური საარჩევნო უფლება), ტუნისი, ტანზანია
 1960 კვიპროსი, გამბია, ტონგა
 1961 ბაჰამი (შემლუდვებით), ბურუნდი, ელ-სალვადორი (პასიური საარჩევნო უფლება), მალაი, მავრიტანია, პარაგვაი, რუანდა, სიერა ლეონე
 1962 ალჟირი, ავსტრალია (სრულად), მონაკო, უგანდა, ზამბია
 1963 ავღანეთი, კონგო, ეკვატორული გვინეა, ფიჯი, ირანი, კენია, მაროკო, პაპუა ახალი გვინეა (პასიური საარჩევნო უფლება)
 1964 ბაჰამი (სრულად), ლიბია, პაპუა ახალი გვინეა (აქტიური საარჩევნო უფლება), სუდანი
 1965 ბოტსვანა, ლესოტო
 1967 კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (აქტიური საარჩევნო უფლება), კირიბატი, ტუვალუ, იემენის დემოკრატიული რესპუბლიკა
 1968 ნაურუ, სვაზილენდი
 1970 ანდორა (აქტიური საარჩევნო უფლება), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (პასიური საარჩევნო უფლება), იემენის არაბული რესპუბლიკა
 1971 შვეიცარია
 1972 ბანგლადეში
 1973 ანდორა (პასიური საარჩევნო უფლება), ბაჰრეინი, სან-მარინო (პასიური საარჩევნო უფლება)
 1974 იორდანია, სოლომონის კუნძულები
 1975 ანგოლა, კაბო ვერდე, მოზამბიკი, სან ტომე და პრინციპე, ვანუატუ

1976 პორტუგალია (სრულად)
 1977 გვინეა, ბისაუ
 1978 ნიგერია (ჩრდილოეთი), მოლდავეთი, მიმბაბვე (პასიური საარჩევნო უფლება)
 1979 მარშალის კუნძულები, მიკრონეზიის ფედერაციული რესპუბლიკა, პალაუ
 1980 ერაყი
 1984 ლიხტენშტეინი, სამხრეთ აფრიკა (ფერადკანიანები და ინდიელები)
 1986 ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჯიბუტი (პასიური საარჩევნო უფლება)
 1989 ნამიბია
 1990 შამოა
 1994 სამხრეთ აფრიკა (შავკანიანები)
 2005 ქუვეითი

გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის ქვეყნების კონსტიტუციების ნორმები

1. ავსტრიის კონსტიტუცია (მუხლი 7);
2. ბელგიის კონსტიტუციის (მუხლი 111);
3. ბულგარეთის კონსტიტუცია (მუხლი 47.2);
4. გერმანიის კონსტიტუცია (მუხლი 3);
5. დანიის კონსტიტუცია (პარაგრაფი 2, ნაწილი VIII);
6. დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციური აქტი (1998 წლის აქტი "დამიანის უფლებათა შესახებ").
7. ესპანეთის კონსტიტუცია (მუხლი 14);
8. ესტონეთის კონსტიტუცია (მუხლი 12);
9. ირლანდიის კონსტიტუცია (მუხლი 45.2.);
10. იტალიის კონსტიტუცია (მუხლი 117);
11. კვიპროსის კონსტიტუცია (მუხლი 28);
12. ლატვიის კონსტიტუცია (მუხლი 91);
13. ლიტვის კონსტიტუცია (მუხლი 29, 39);
14. ლუქსემბურგის კონსტიტუცია (101, 11);
15. მალტას კონსტიტუცია (მუხლები 14, 32);
16. ნიდერლანდის კონსტიტუცია (მუხლი 1);
17. პოლონეთის კონსტიტუცია (მუხლი 33);
18. პორტუგალიის კონსტიტუცია (მუხლები 68.3, 109);
19. რუმინეთის კონსტიტუცია (მუხლი 4.2);
20. საბერძნეთის კონსტიტუცია (მუხლი 116.2.);
21. საფრანგეთის კონსტიტუცია (მუხლი 3, 32);
22. სლოვაკეთის კონსტიტუცია (მუხლი 38.1.);
23. სლოვენის კონსტიტუცია (მუხლი 14);
24. უნგრეთის კონსტიტუცია (მუხლი 57);
25. ფინეთის კონსტიტუცია (მუხლი 6);
26. შვედეთის აქტი "მმართველობის ფორმის შესახებ"(თავი 2, მუხლი 16);
27. ჩეხეთის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია (კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი) (მუხლები 29.1, 3.1, 32.2);

Contents

Chapter 1.	
History of Obtaining the Women's Voting Rights	25
Chapter 2.	
Gender Equality in the Legislation of Foreign Countries	26
§1). Gender Equality	26
§2). Labor Rights of Women	28
§3). Mother's Rights	29
§4). Rights of the Pregnant Women	29
§5). Women's Electoral Rights	30
Chapter 3.	
EU Constitution Project on the Rights of Women	33
Chapter 4.	
The Statistical Analysis of the Number of Women Holding the Political Positions Abroad	33
Chapter 5.	
The Georgian Legislation on the Gender Issues	34
Table 1	
Chronology of Recognition of Women's Electoral Rights	36
List of Constitutional Norms of the countries of the European Union on Gender Equality	39

Constitutional Aspects of Gender Equality

Being one of the important ways to ensure protection of human rights and freedoms the issue of gender equality between women and men receives much attention in course of legal development of the modern world. It is a problematic issue in various areas of law in terms of their scope of regulation including in the Constitutional Law since the main principals of the gender equality underlying various areas are firstly reflected in the Constitutional norms.

